წევრად მიღების წესი

1. ა(ა)იპ “ინფორმაციის ტექნოლოგიების სპეციალისტთა პროფესიული კავშირის” წევრი შეიძლება გახდეს ინფორმაციის ტექნოლოგიებში ან მომიჯნავე სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირი, ასევე ამავე სფეროსთან დაკავშირებული დროებით უმუშევარი პირი, პენსიონერი და სტუდენტი, რომელიც გაეცნო “ინფორმაციის ტექნოლოგიების სპეციალისტთა პროფესიული კავშირის” წესდებას და თანხმობას აცხადებს მის შესრულებაზე.
2. გაწევრიანების მსურველმა განცხადება შეიძლება შემოიტანოს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით
    - 2.1. ელექტრონული ფორმით განცხადების შემოტანის მსურველმა უნდა შეავსოს პროფკავშირის ვებ გვერდზე – it.org.ge განთავსებული შესაბამისი ფორმა
    - 2.2. მატერიალური ფორმით განცხადების შემოტანის მსურველმა პროფკავშირის ფაქტობრივ მისამართზე მატერიალურად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
        - 2.2.1. ამ წესის დანართით განსაღვრული ფორმის განცხადება და სამსახურებრივი ავტობიოგრაფია (CV).
        - 2.2.2. სამუშაო ადგილიდან (ან ადგილებიდან) ცნობა ხელფასის შესახებ, ან საინფორმაციო ტექნოლოგიების (ან მომიჯნავე სფეროების) შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტი
        - 2.2.3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
3. კომიტეტი შემოსულ განცხადებაზე გადაწყვეტილებას იღებს უახლოეს სხდომაზე. თუ განცხადების შემოსვლიდან მომდევნო 30 დღის განმავლობაში სხდომა არაა დაგეგმილი, შემოსული განცხადების განსახილველად აღმასრულებელი დირექტორი მოიწვევს კომიტეტის რიგგარეშე სხდომას.
4. წევრობის მსურველს კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყეტილების შესახებ ეცნობება ელექტრონულად, განცხადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.